

ხათუნა თოღუა

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიღარიბის პრობლემა საქართველოში და მისი დაკლების გზები

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები

სიღარიბე დღევანდელობის ერთ-ერთი უმძიმესი გლობალური პრობლემაა. მაინც, რა არის სიღარიბე? მისი განსხვავებული განმარტებები არსებობს. ცხოვრების მინიმალურ დონეს, რომელიც განისაზღვრება კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელსა და საცხოვრებელ ბინებზე ადამიანის ფიზიკურ მოთხოვნათა საფუძველზე, აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი ეწოდება. საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება სასიცოცხლო მინიმუმით, რომელიც დგინდება ეკონომიკის სამინისტროს მეთოდით. მასში შეიტანება დანახარჯები კვების პროდუქტებზე, მათზე მინიმალური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, დანახარჯები არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე, გადასახადები და სხვა გადასახდელები, გამომდინარე მათი სტრუქტურიდან ყველაზე ნაკლებურუნველყოფილი ოჯახების 10%-ში. სასიცოცხლო მინიმუმის განსაზღვრისას ანგარიშობენ რიგ რაციონალურ სამომხმარებლო ბიუჯეტებს:

- საშუალო ოჯახისათვის;
- პენსიონერებისათვის;
- მაღალი შესაძლებლობის ბიუჯეტს;
- მინიმალური მატერიალური უზრუნველყოფის ბიუჯეტს.

საშუალო სამომხმარებლო ბიუჯეტი რაციონალურის 50 %-ს შეადგენს, ე. ი., რაციონალური ბიუჯეტის მისაღწევად აუცილებელია ოჯახის წევრის საშუალო-სულადობრივი შემოსავლის გაორმაგება. რაციონალურ ბიუჯეტში კვების პროდუქტებზე უნდა დაიხარჯოს არა უმეტეს 30 %-ისა. საშუალო შესაძლებლობების ოჯახს აშშ-ში კვების პროდუქტებზე ეხარჯება 11-%, იაპონიაში - 19 %, ხოლო საქართველოში 1970-1990 წ.წ. კვებაზე იხარჯებოდა მუშა-მოსამსახურეთა ერთობლივი შემოსავლის 40-43 %, 90-იანი წლების დასაწყისში კი - მთელი შემოსავალი და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ ფარავდა კვებასთან დაკავშირებულ კოლოსალურ ხარჯებს. თანაც, 90-იან წლებში მოსახლეობა კვების პროდუქტებზე მოთხოვნილებას ძირითადად პურითა და პურპროდუქტებით იკმაყოფილებდა, რაც ცხოვრების დაბალი დონის მაჩვენებელია.

ცხადია, ზემოთქმული მოსახლეობის ყველა ფენას არ შეხებია, 1995 წელს ხარჯების საერთო მოცულობაში კვების დანახარჯები მოსახლეობის შეძლებულ 10%-ს 2-ჯერ და მეტად ნაკლები ჰქონდა, ხოლო არასასურსათო საქონლის შეძენაზე - 3-ჯერ მეტი, ვიდრე უღარიბეს 10 %-ს. 2003-2007 წლებში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საშუალოდ 10 %-ს შეადგენდა, თუმცა ეკონომიკური ზრდა ვერ აისახა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის საარსებო პირობების სისტემურ და მდგრად გაუმჯობესებაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით ქვეყ-

ანაში სიღარიბის მაჩვენებელი 27%-დან (2004 წ.) 31 %-მდე (2007 წ.) გაიზარდა. ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, დღეს ქვეყნის მოსახლეობის 34% მიიხნევს თავს ღარიბად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებიც სიღარიბის ზრდის ტენდენციას აჩვენებს, თუმცა, განსხვავებული სტატისტიკით. მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მსჯელობენ არა მხოლოდ იმის მიხედვით, თითოეული ადამიანის ორგანიზმი წლის განმავლობაში ღებულობს თუ არა კალორიების საჭირო საერთო რაოდენობას, არამედ (და განსაკუთრებით) იმის მიხედვითაც, თუ როგორია კვების პროდუქტების მოხმარების სტრუქტურა. თითოეულ ქვეყანაში არსებობს სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც ადგილობრივი თავისებურებების (ტრადიციები, კულტურა, რელიგია და სხვ.) გათვალისწინებით ადგენენ კვების პროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიურ და არასასურსათო ნაწარმის მოხმარების რაციონალურ ნორმებს.

იმისათვის, რომ ადამიანის ორგანიზმმა კვების თითოეული პროდუქტი ყოველდღიურად ნორმალური ოდენობით მიიღოს, საკმარისი არ არის ამ პროდუქტებით ბაზრის გაჯერება და მათი შექენისათვის აუცილებელი სახსრების არსებობა, საჭიროა მოხმარების შესაბამისი კულტურის გამომწვევაც. დასავლეთის ქვეყნებში სასაღილოებსა და რესტორნებში არსებულ მენიუში, კერძების სახეობისა და მათი ფასების ჩამონათვალთან ერთად, მითითებულია თითოეული კერძის განსაზღვრული ულუფის კალორიულობა, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ისეთნაირად შეადგინოს მენიუ, რომ კალორიების საერთო რაოდენობა არ იყოს მეტი ან ნაკლები საერთოდ დასაშვებ (და კონკრეტულად მისი ორგანიზმისათვის მისაღებ) ნორმაზე.

შესაბამისი წინაპირობების შექმნის კვალობაზე მიზანშეწონილია ამ ცივილიზებული წესის ყველგან დანერგვა.

თუკი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონე სასიცოცხლო მინიმუმზე დაბალია, მაშინ უნდა დადგეს სიღარიბესთან ბრძოლის ამოცანა. შემოსავლების უთანაბრობა და სიღარიბის პრობლემა მოითხოვს სოციალური დაცვის ღონისძიებებს, სპეციალურ სახელმწიფო პროგრამებს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემოსავლების უთანაბრობა, რაც თითოეულის წვლილით განისაზღვრება ეროვნული წარმოების მოცულობაში, შრომის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს, სოციალური დახმარების სიდიდემ არ უნდა გამოიწვიოს შრომისუნარიანი ადამიანების დემოტივირება და პასიურ მდგომარეობაში დარჩენის სტიმულირება.

საქართველოში სოციალური დახმარების პოლიტიკა მიმართულია უკიდურესი სიღარიბისაგან გამოწვეული შოკისაგან მოსახლეობის დაცვაზე. თუმცა, დახმარების ეფექტი არ არის ადეკვატურად შეფასებული, რის გამოც ამ დახმარების ზეგავლენა შეზღუდულია - ბენეფიციარი ოჯახების გარკვეულ ნაწილს სიღარიბიდან ამოსვლა უჭირს, ხოლო ბევრი ოჯახი საერთოდ დახმარების გარეშე რჩება.

ცხრილი 1.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების განაწილება

კატეგორია	ქალაქი	სოფელი	სულ ქვეყანა
დატაკი	32,9	44,4	38,3
ღარიბი	31,9	35,6	33,6
არაღარიბი	35,2	20,0	28,1
	100,0	100,0	100,0

საქართველოს სოციალური დაცვის პოლიტიკა ეფუძნება მისამართულ დახმარებას. სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად რჩება სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდება შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე გაჭირვებული ადამიანებისათვის. ამავე დროს, სახელმწიფოს ამოცანაა უმწეოთა გამოვლენის მეთოდოლოგიის კიდევ უფრო დახვეწა, მისამართულობის გაუმჯობესება სხვადასხვა საშუალებებით. ფულადი დახმარება და სამედიცინო დაზღვევის სქემა არის საფუძველი, რომელსაც სოციალური ინტეგრაცია, სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ეყრდნობა. ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები და გარემო, რომ ქვეყნის მეწარმეებსა და საქმიან ადამიანებს, მოქალაქეებს მიეცეთ მაღალპროდუქტიული შრომისა და საქმიანობის საშუალება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება. პატერნალიზმი (მუდმივი დახმარების იმედი დასაველეთიდან) ატროფიას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე გაჯანსაღებას, ეს არ არის ის გზა, რომელიც იძლევა მიზნების რეალიზაციის საშუალებას.

სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელებისათვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები საქართველოს ხელისუფლებას 200 მლნ აშშ დოლარამდე თანხის გამოყოფას აპირებდნენ. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი, ჯიმ იონგ კიმი სიღარიბის მოსპობას ჩვენი დროის უაღრესად მნიშვნელოვან მორალურ საკითხად მიიჩნევს. დღეს მსოფლიოში მილიარდზე მეტი ადამიანი დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს. არ შეიძლება ეს ადამიანები სიღარიბეში ვამყოფოთ, როცა მათი ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლის შესაბამისი ბერკეტები და რესურსები გაგვანია. მსოფლიო ბანკმა დღეისათვის ორი ძირითადი მიზანი დაისახა: 2030 წლისათვის სიღარიბის აღმოფხვრა და მოსახლეობის შედარებით ღარიბი ნაწილის კეთილდღეობის ზრდა.

საქართველოში სიღარიბესთან ბრძოლა პრიორიტეტად რჩება ახალი პოლიტიკური რეალობის პირობებშიც; 2013 წ. 4 თებერვალს გამოქვეყნდა სამთავრობო პროგრამა - „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, რომელშიც მოცემულია მოსახლეობისა და ეროვნული კეთილდღეობის, ასევე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული ორიენტირები.